

საქართველოს მთავრობის

განკარგულება №2033

2017 წლის 26 სექტემბერი

ქ. თბილისი

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მიერ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10¹ მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად განხორციელების მიზნით, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემამ“ მცხეთა-მთიანეთის რეგიონში ახალი 500 კვ-იანი ელექტროგადამცემი ხაზის – „ქსანი-სტეფანწმინდის“ მშენებლობის პროექტის მსვლელობისას დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფლებში დამატებითი ალტერნატიული მარშრუტის ფარგლებში განსახორციელებელი სამუშაოებისათვის საჭირო მომსახურებების (სპეცტექნიკის დაქირავება, არქეოლოგიური და საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის მომსახურებები და ტყის ჭრების მომსახურება) სახელმწიფო შესყიდვები განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

პრემიერ-მინისტრი

გიორგი კვირიკაშვილი

